



აქაჲი წაჩათლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სადოქტორო პროგრამა
საქართველოს ისტორია
HISTORY OF GEORGIA

ქუთაისი

2011

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: საქართველოს ისტორია.

მეცნიერების დარგი: ისტორია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ისტორიის დოქტორი
PhD in History

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:

გიორგი მჭედლიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის სრული პროფესორი

გურამ გაბუნია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის სრული პროფესორი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

1. პროგრამის მიზანი:

- 1.1. სადოქტორო პროგრამა «საქართველოს ისტორია» წარმოადგენს სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადებას საქართველოს ისტორიის მიმართულე-ბით. იგი აგრეთვე მიზნად ისახავს ამ დარგში ღრმა თეორიული ცოდნის მქონე მკვლევარ-პედაგო-გთა მომზადებას, რომელთაც შეეძლება მეცნიერულ კვლევა-ძიებაში შემოქმედებითად გამოიყე-ნონ დაგროვილი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ და განაზოგადონ საკვლევო წყაროთმცოდნე-ობითი მასალა, თანამედროვე საისტორიო მეცნიერების დონეზე შემოქმედებითად განავითარონ იგი; შესწავლით უნარი დაწერონ მიღებული შედეგები სამეცნიერო პუბლიკაციებსა, უმაღლეს სკო-ლაში წაკითხულ ლექციებსა და სემინარებში, კვლევით დაწესებულებებში შესასრულებელ სამუშა-ოებში.
- 1.2. საქართველოს ისტორიის დოქტორანტურის მიზანს წარმოადგენს: ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში შეძენილი ცოდნის გაღრმავება, მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების ათვისება-გაფართოება, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მუდმივად გაუმჯობესებადი გზებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენება, რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტს (პუბლიკაციებისათვის დადგენილი წესის დონეზე) შეძლოს არსებული ცოდნის ხელახლა გააზრება და ნაწილობრივი გადაფასება, მიღებული შედეგების პერსპექტიული გაცნობიერება.
- 1.3. დოქტორანტმა მიიღოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის ჩვევები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე იქნება ორიენტირებული და აისახება თანამედროვე პირობებში დადგენილი ნორმების შესაბამის მეცნიერულ პუბლიკაციებში.
- 1.4. ხელი შეუწყოს დოქტორანტს, რათა მან შეძლოს წარმართოს ლექცია-პრაქტიკუმები თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

- 1.5. შეიძინოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი, რითაც ხელი შეეწყობა ახალი მეთოდოლოგიების შემუშავება-განვითარებას, პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას.
- 1.6. წინამდებარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ნაშრომების თემატიკურ მიმართულებათა გათვალისწინებით, დოქტორანტებს სადისერტაციო თემები დაუდგინდებათ საქართველოს გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ხანის (X–XV სს.), XIX და XX საუკუნეების და ქართული ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის პრობლემემატიკიდან.

მოსალოდნელი შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება - სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად მკვლევარი დაუფლებული იქნება თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მაღალ დონეს და კვლევის მეთოდოლოგიას. შეეძლება შეძენილი ცოდნა და კვლევის მეთოდები გააცნოს სტუდენტთა აუდიტორიას და ფართო საზოგადოებას, ზეპირად და წერილობით.

სადოქტორო კურსის გავლის შემდეგ დოქტორანტი შეიძენს საქართველოს ისტორიაში სპეციალისტის სტატუსს. მას ექნება ამ დარგებში დამოუკიდებელი კვლევის ცოდნა, საქართველოს ისტორიის თანამედროვე პრობლემემატიკის დასმის უნარი, მოახდენს ადეკვატურ ორიენტაციას ამ პრობლემემატიკაში, ორიგინალურად განავითარებს და ობიექტურად გადმოსცემს თავის მოსაზრებებს, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავს, რომ მან მიიღო სათანადო ცოდნა სპეციალობაში, შეიძინა კომპეტენცია საისტორიო კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდიკაში, რაც მას მაღალი, დადგენილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკვალიფიკაციო ნაშრომებისა და სხვა სახის მეცნიერული ნაშრომების შექმნაში დაეხმარება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული და აისახება პუბლიკაციებში.

დასკვნის უნარი - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება-განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისთვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

კომუნიკაციის უნარი - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

ღირებულებები - ღირებულებები განისაზღვრება დოქტორანტის სადოქტორო დისერტაციის თემატიკაში დასმული ამოცანების მის მიერ გადაწყვეტის დონით. გათვალისწინებული იქნება რამდენად შეუძლია დოქტორანტს სისტემატიურობის, ობიექტურობის, თვითკრიტიკულობის პრინციპების დაცვა. როგორც

პასუხისმგებლობით მუშაობს იგი შესასწავლად აღებული პრობლემის წერილობითი და ზეპირი სახით გადმოსაცემად. სწავლების პერიოდში დოქტორანტმა უნდა შეიძინოს მეცნიერ-მკვლევარისათვის საჭირო ნებისყოფა და მეცნიერული ეთიკის ჩვევები.

დოქტორანტურა მთავრდება სადოქტორო დისერტაციის დაცვით, რომლის შედეგადაც დისერტანტს ეძლევა ისტორიის დოქტორის (PhD) დიპლომი. დაცული ნაშრომი საბჭოს სხდომიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა გამოქვეყნდება წიგნის სახით ან განთავსდება ვებგვერდზე ელექტრონული ვერსიის სახით. სადისერტაციო ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებსა და სტუდენტებს. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სალექციო კურსებისა და შესატყვისი მიმართულებით კვლევის გაღრმავებისათვის.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

დოქტორანტურის კურსდამთავრებულის მუშაობის უპირველესი და უმთავრესი სფეროა უმაღლესი სკოლა. იქ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში საქართველოს ისტორიის, ისტორიოგრაფიის, სპეციალური კურსების, ისტორიული გეოგრაფიის, ისტორიის სხვა დამხმარე დისციპლინებისა და სხვ. სალექციო კურსების წაყვანა; აკადემიური სფეროს და სხვა სახის საკვლევ დაწესებულებებში სპეციალისტად მუშაობა; სამუზეუმო და საარქივო საქმიანობაში მონაწილეობა, ცალკეული სახელმწიფო დაწესებულებებისა, თუ კერძო ფირმა-კომპანიებისათვის, სხვადასხვა დასახლებული პუნქტების (ქალაქები, დაბები, სოფლები) ისტორიის შექმნაში დახმარების აღმოჩენა და სხვ.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს განსაზღვრავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომლის შესაბამისი ამონარიდი ასეთია:

1. დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს ისტორიის მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს სხვა ქვეყნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს (საქართველოს «უმაღლესი განათლების შესახებ» კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).
3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული, ან ფრანგული ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.

4. დოქტორანტურის კანდიდატი, რომელსაც საქართველოს ისტორიის პროგრამით სურს სწავლა, მაგრამ ქართული მისი დედაენა არ არის, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს.
5. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება, ჰქონდეს ქართველოლოგიურ ჟურნალებსა თუ კრებულებში ორი სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც საქართველოს ისტორიის იმ პერიოდებიდან, რომელზეც მას მეცნიერული კვალიფიკაციის დაუფლება სურს, ანდა ამავე თემატიკიდან წარმოადგინოს ვრცელი რეფერატი (პუბლიკაციები და რეფერატი რეკომენდებული უნდა იყოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მიერ).
6. შემომსვლელმა უნდა გაიაროს საგამოცდო შეფასება საქართველოს ისტორიასა და უცხო ენაში.
7. შემომსვლელმა უნდა წარმოადგინოს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი (დედანი).
8. დოქტორანტურაში მიიღებიან ორმოც წლამდე ასაკის მოქალაქეები.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის აღწერა:

სასწავლო კომპონენტი (45 კრედიტი) დოქტორანტის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური დახელოვნების მიზნით მოიცავს შემდეგ მოდულებს:

1. საგნობრივი კურსები (10 კრედიტი). ეს არის დარგობრივი კურსებისგან შემდგარი მოდული, რომელიც ითვალისწინებს სადისერტაციო თემიდან გამომდინარე სპეციალური და მომიჯნავე საგნების გაღრმავებულ შესწავლას და მთავრდება გამოცდით.
2. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დოქტორანტის მიერ უცხო ენის ცოდნის გაღრმავებას (10 კრედიტი).
3. საქართველოს ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები (5 კრედიტი).
4. პედაგოგიური პრაქტიკა (5 კრედიტი). სწავლების თანამედროვე მეთოდების მოდული, რასაც მოსდევს დოქტორანტის ჩართვა სასწავლო პროცესში (პროფესორის ხელმძღვანელობით ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება), მის მიერ ისტორიის სწავლების მეთოდის დაუფლებას. სწავლების დასრულების შემდეგ დოქტორანტი ფასდება იმ პროფესორის მიერ, რომლის წარმოდგენილ მოდულს ხელმძღვანელობას უწევს.
5. დარგობრივი სემინარები (15 კრედიტი).

აღნიშნული მოდელი გათვლილია სამწლიანი პროგრამისთვის. აქედან პირველი წელი მოიცავს დარგობრივ მოდულს, უცხო ენის ცოდნის გაღრმავებას და სწავლების თანამედროვე მოდულს – პედაგოგიურ პრაქტიკას, ხოლო მეორე და მესამე წელი დაეთმობა კვლევითი კომპონენტის დასრულებას.

სწავლის პერიოდში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს სულ 180 კრედიტი (1 კრედიტი = 6 აკადემიურ საათს).

სწავლების I წელი

	სასწავლო კომპონენტების დასახელება	კრედიტების რაოდენობა
1.	საქართველოს ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები	5. II სემესტრი
2.	პედაგოგიური პრაქტიკა	5. II სემესტრი
3.	დარგობრივი სემინარები	15. I (5) და II (10) სემესტრი
4.	საგნობრივი კურსები:	
	4.1. საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძირითადი საკითხები	5. I სემესტრი
	4.2. ისტორიული გეოგრაფია(საქართველო და კავკასია)	5. I სემესტრი
	4.3 უცხო ენა	10. I და II სემესტრი
	სულ	45

დოქტორანტს მოეთხოვება კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის მომზადება) სახით III, IV, V და VI სემესტრებში 120 კრედიტის შესრულება.

№	დასახელება	კრედიტი	კრედიტები სემესტრში						
			I	I I	III	IV	V	VI	
II კვლევითი კომპონენტი									
1	კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა	30			5	5	15	5	
2	დოქტორანტის I კოლოქვიუმი	10				10			
3	დოქტორანტის II კოლოქვიუმი	10					10		
4	დოქტორანტის III კოლოქვიუმი	10						10	
5	სადოქტორო დისერტაციის შესრულება და დაცვა	60			5	10	5	10	30
	სულ კვლევითი კომპონენტი	120			0	5	25	30	30

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:

დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორებიცაა: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ

დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „სადოქტორო დოსერტაციის შეფასების კრიტერიუმების“ შესახებ.

სხვა სასწავლო თუ კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატიის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა :

1. სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტში და უნივერსიტეტის შესაბამის კაბინეტებსა და ბიბლიოთეკებში, რომლებიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობით, დოქტორანტისთვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურით. კერძოდ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის №1114 აუდიტორიის ტექნიკური აღჭურვილობა დისტანციური მართვის სალექციო და სემინარული ტიპის მუშაობის ჩატარების საშუალებას იძლევა.
2. გარდა ამისა, ვგეგმავთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროფესორასთან, ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსულტანტებთან გარკვეულ მუშაობას, საჭირო შემთხვევაში მათი სასწავლო პროცესში ჩართვით.
3. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტი ისარგებლებს საზღვარგარეთ მივლინებით, ასეთი კადრების მომზადების გამოცდილების მქონე უნივერსიტეტებსა და სასწავლო და

სამეცნიერო ცენტრებში კონსულტაციების მისაღებად, ან სადისერტაციო თემის რომელიმე კომპონენტის შესასრულებლად.

პროგრამაზე მისაღებ დოქტორანტთა რაოდენობა:

საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია 5 დოქტორანტის მიღება.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ორი სახის სახსრებიდან: 1. დოქტორანტების მიერ შემოტანილი სწავლის ქირა და 2. უნივერსიტეტის ბიუჯეტის სასწავლო ხარჯები .